

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების,
არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის
არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე
მისაღები შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

- 1.1. ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის, არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება განხორციელდება კომბინირებული წესით:
 - 1.1.1. შემოქმედებითი ტური;
 - 1.1.2. ერთიანი ეროვნული გამოცდები (სამი სავალდებულო საგანი: ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).
- 1.2. შემოქმედებითი ტური ტარდება ორ ეტაპად:
 - 1.2.1. ეტაპი 1: პორტფოლიოს (ნამუშევრების) შეფასება და გასაუბრება, შეადგენს საბოლოო შეფასების 40%-ს.
 - 1.2.2. ეტაპი 2: ტესტირება, შეადგენს საბოლოო შეფასების 60 %-ს.

მუხლი 2. შემოქმედებითი ტურის შეფასების სისტემა

- 2.1. შემოქმედებითი ტური ფასდება 100 ქულიანი სისტემით:
 - 2.1.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-32 ქულა;
 - 2.1.2. დამაკმაყოფილებელი - 33-56 ქულა;
 - 2.1.3. კარგი - 57-78 ქულა;
 - 2.1.4. ძალიან კარგი - 79-100 ქულა.
- 2.2. შემოქმედებითი ტურის კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 33 ქულა, ამდენად აბიტურიენტმა უნდა მიიღოს შეფასება - მინიმუმ 33 ქულა, ზღვარის გადასალახად.
- 2.3. რექტორის ბრძანებით დგება კომისია, რომლის წევრების საშუალო შეფასებით იწერება საბოლოო შეფასება.

მუხლი 3. პორტფოლიოს (ნამუშევრების) მოთხოვნები

- 3.1. აბიტურიენტი წარადგენს პორტფოლიოს რომელიც შედგება 5 ნამუშევარისგან.
- 3.2. პორტფოლიოსთვის უნდა აიტვირთოს ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია მხოლოდ და დამოუკიდებლად აბიტურიენტის მიერ, სხვისი პირდაპირი შემოქმედებითი და ტექნიკური ჩარევის და დახმარების გარეშე. ჯგუფური ნამუშევრები არ დაიშვება.

- 3.3. ნამუშევარებში უნდა ჩანდეს, რომ აბიტურიენტს აქვს ზოგადი სივრცითი აზროვნება, აქვს სამგანზომილებიანი მოცულობის აღქმა, კომპოზიციის პერსპექტივის და შუქ - ჩრდილების საბაზო პრინციპების ფლობა.
- 3.4. პორტფოლიო ციფრულად უნდა იყოს წარმოდგენილი/ატვირთული.
- 3.5. ბმული პორტფოლიოს ციფრულად ატვირთვისთვის, აბიტურიენტებს დამატებით მიეწოდებათ უნივერსიტეტის მიერ.
- 3.6. აბიტურიენტი, რომელიც ციფრულად ატვირთავს ნამუშევარს, მაგრამ არ გამოცხადდება გასაუბრებაზე - არ შეფასდება.
- 3.7. ნამუშევრები შეიძლება შესრულებული იყოს ნებისმიერ ტექნიკით: კომპიუტერული გრაფიკით შესრულებული ნამუშევარი, ფოტო, ვიდეო, გრაფიკული ან ფერწერული ნახატი, ჩანახატი, ნახაზი, ნებისმიერ მასალაში შესრულებული მოდელი/მაკეტი და სხვა.
- 3.8. ნამუშევრები შეიძლება შესრულებული იყოს ასევე სხვადასხვა ტექნიკის კომბინაციით. ვიდეოს შემთხვევაში, ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. მაკეტის ან მოდელის შემთხვევაში ნამუშევრის გაზომვები არ უნდა აღემატებოდეს 80 x 80 x 80 სმ-ს.
- 3.9. ციფრულად ატვირთული ერთი ნამუშევრის სხვადასხვა რეპრეზენტაცია ითვლება ერთ ნამუშევრად.
- 3.10. ციფრულად ატვირთული ნამუშევარი, რომელიც შედგება რამდენიმე რეპრეზენტაციისგან ითვლება ერთ ნამუშევრად.
- 3.11. თუ ნამუშევრის ორიგინალი ხელმოწერილია, ატვირთვით ნამუშევარზე ხელმოწერა უნდა იყოს დაფარული ტექნიკური საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ნამუშევარი არ შეფასდება.
- 3.12. თუ აბიტურიენტი ციფრულად ატვირთავს 5-ზე ნაკლებ ნამუშევარს, ამ შემთხვევაში მის შეფასებას დააკლდება ყოველ დაკლებულ ნამუშევარზე შეფასების 8 ქულა.
- 3.13. აბიტურიენტი, რომლის პორტფოლიოც დააკმაყოფილებს ზემო აღნიშნულ მოთხოვნებს დაიშვება შემოქმედებითი ტურზე.

მუხლი 4. პორტფოლიოს და გასაუბრების შეფასების სისტემა

- 4.1. პორტფოლიო ფასდება ორი პროცენტის კომბინაციის შედეგად: პორტფოლიოს შეფასება და გასაუბრება.
- 4.2. პორტფოლიო ფასდება 40 ქულიანი ქულიანი სისტემით, რომელშიც:
 - 4.2.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-13 ქულა;
 - 4.2.2. დამაკმაყოფილებელი - 14-21 ქულა;
 - 4.2.3. კარგი - 22-31 ქულა;
 - 4.2.4. ძალიან კარგი - 32-40 ქულა.
- 4.3. პორტფოლიოს შეფასება და გასაუბრება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:
 - 4.3.1. ინოვაციურობა და ტექნიკური შესრულების უნარები - 10 ქულა:
 - 4.3.1.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-4 ქულა;
 - 4.3.1.2. კარგი - 5-7 ქულა;

- 4.3.1.3. ძალიან კარგი 8-10 ქულა.
- 4.3.2. ზოგადი სივრცითი აზროვნება, სამგანზომილებიანი მოცულობის აღქმა, კომპოზიციის პერსპექტივის და შუქ - ჩრდილების საბაზო პრონციპების ფლობა - 20 ქულა;
 - 4.3.2.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-7 ქულა;
 - 4.3.2.2. კარგი - 8-14 ქულა;
 - 4.3.2.3. ძალიან კარგი - 15-20 ქულა.
- 4.3.3. გადმოცემის უნარი, მოტივაცია, იდეების ვერბალური კომუნიკაციის უნარი - 10 ქულა;
 - 4.3.3.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-4 ქულა;
 - 4.3.3.2. კარგი - 5-7 ქულა;
 - 4.3.3.3. ძალიან კარგი 8-10 ქულა.
- 4.4. გასაუბრებაზე აბიტურიენტი წარმოადგენს კომისიის წინაშე მინიმუმ იმავე შემადგენლობის პორტფოლიოს რაც აბიტურიენტმა ატვირთა. ამასთან სურვილისამებრ, აბიტურიენტს შეუძლია მოიტანოს დამატებითი ნამუშევრები კომისიასთან გასაუბრებისათვის.
- 4.5. შემოქმედებითი ტურის პროცესში დგინდება პორტფოლიოს ავთენტურობა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული დამოუკიდებლად აბიტურიენტის მიერ, სხვისი პირდაპირი შემოქმედებითი და ტექნიკური ჩარევის და დახმარების გარეშე
- 4.6. თუ საკონკურსო კომისია დაადგენს, რომ პორტფოლიოს ნამუშევრები შეიცავენ პლაგიატს (სხვისი ნამუშევრის საკუთრად გასაღება, სხვისი მონაწილეობით შესრულებული ნამუშევრის საკუთრად გასაღება) - აბიტურიენტი ფასდება 0 ქულით და დისკვალიფიცირებული იქნება შემოქმედებითი ტურიდან.

მუხლი 5. ტესტირება

- 5.1. შემოქმედებითი ტურის მეორე ეტაპი - ტესტირება, წარმოადგენს შეფასების 60 ქულას..
- 5.2. ტესტირებაზე ფასდება აბიტურიენტის სივრცითი აზროვნების და სამგანზომილებიანი აღქმის გრაფიკულად გადმოცემის უნარი.
- 5.3. ტესტირება მოიცავს სამ გეომეტრიულ-სივრცით ამოცანას, თითოეულს დაეთმობა 20-20 წუთი და თითოეული სავარჯიშო შეფასდება 20 ქულით. შემდეგი სისტემით:
 - 5.3.1. არადამაკმაყოფილებელი - 0 - 6 ქულა;
 - 5.3.2. დამაკმაყოფილებელი - 7 – 11 ქულა;
 - 5.3.3. კარგი - 12 – 16 ქულა;
 - 5.3.4. ძალიან კარგი 17 – 20 ქულა.
- 5.4. ჯამურად სამივე გეომეტრიულ-სივრცითი ამოცანა შეფასდება ოთხ საფეხურიანი სისტემით:
 - 5.4.1. არადამაკმაყოფილებელი - 0-18 ქულა;
 - 5.4.2. დამაკმაყოფილებელი - 19 – 32 ქულა;
 - 5.4.3. კარგი - 33 – 46 ქულა;
 - 5.4.4. ძალიან კარგი - 47 – 60 ქულა.

5.5. აბიტურიენტებს ტესტირება ჩაუტარდებათ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

5.6. ტესტირების დროის შესახებ აბიტურიენტებს ეცნობებათ დამატებით.

5.7. ტესტირებისას აბიტურიენტები მობილურის და სხვა დამხმარე - ტექნიკურ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებისას/გამოყენების მცდელობისას, ასევე აკადემიური თაღლითობის შემთხვევაში/აკადემიური თაღლითობის მცდელობის შემთხვევაში, დისკვალიფიცირებული იქნებიან შემოქმედებითი ტურიდან.